საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/37

ქ. ბათუმი 04 აპრილი 2018 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე **დანართი 1-ის** შესაბამისად.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია (პირადობის მოწმობის საფუძველზე) განხორციელდეს 2018 წლის 10 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, მე-3 კორპუსში (ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობა), მეოთხე სართულზე, ოთახი N404).
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge/, 2018 წლის 10 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა პრეტესტი (იმიტირებული გამოცდა) ჩატარდეს 2018 წლის 05 მაისს (პრეტესტის ჩატარების ადგილი მითითებული იქნება რეგისტრაციის შედეგად აღებულ საგამოცდო ბარათში).
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა ტესტირება (გამოცდა) ჩატარდეს 2018 წლის 06 მაისს (ტესტირების ჩატარების ადგილი მითითებული იქნება რეგისტრაციის შედეგად აღებულ საგამოცდო ბარათში).
6. აპლიკანტთა ტესტირების შედეგები გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე 2018 წლის 18 მაისს.

7. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებმა 2018 წლის 18 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), ხელშეკრულების გაფორმებისა და მათი პირადი საქმის გახსნის მიზნით 10 საათიდან 17 საათამდე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, მე-3 კორპუსში (ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობა, მეოთხე სართულზე, ოთახი N404), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის სამსახურში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დანართი 1-ში მითითებული N4, N5, N6, N7-8 ნომრით განსაზღვრული პროგრამებისათვის), ხოლო საბაზო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დანართი 1-ში მითითებული N1, N2-3 ნომრით განსაზღვრული პროგრამებისათვის);

დ) ორი ფოტო 3X4-ზე;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).

8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2018 წლის 28 მაისს, ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველზე.

9. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (დანართი 1) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 30 მაისს.

10. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

11. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება

12. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების შესაბამისი განცხადების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება.

13. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და ფაკულტეტებს.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი — მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის, 2018 წლის 04 აპრილი
N 01-08/37 ბრძანების დანართი 1

	ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა	კრედიტების რაოდენობა		სასწავლო თვეების რაოდენობა		ადგილების რაოდენობა	მათ შორის ადგილების რაოდენობა სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის
			ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა	ვებ-ინტერფეისის დიზაინერი (III საფეხური) - მოდულური	63	78	10	12	20	2
2	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა	ვებ-ინტერფეისის დეველოპერი (III საფეხური) - მოდულური	61	76	10	12	20	2
3	ტექნოლოგიური	მეფუტკრე (III საფეხური) - მოდულური	76	91	12	14	30	3
4	ტექნოლოგიური	არქიტექტორ-ტექნიკოსი (IV საფეხური) - მოდულური	84	114	14	16	16	2
5	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	ბიბლიოთეკარი (IV საფეხური) - მოდულური	94	124	16	18	19	2
6	განათლება	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (V საფეხური)- მოდულური	111	141	16	21	20	2
7	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	პრაქტიკოსი ექთანი (V საფეხური) - მოდულური	134	164	22	27	25	3
8	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	ფარმაცევტის თანაშემწე (IV საფეხური) - მოდულური	92	122	16	18	25	3
		სულ:					175	19